ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1597603

ნომერი: AR1258686

თარიღი : 31.10.2014

გაცემის თარიღი : 21.11.2014

გაცნობის თარიღი : 21.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, ს/ს გაერთიანება "კვებარომატკომპლექსი"-სა და, N5 დამოუკიდებელი გასამხედროვებული, სახანძრო ნაწილის შენობას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მარუაშვილი პ/ნ 21001006154
- თერჯოლა ნ.ბარათაშვილის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 იანვრის №01/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 17 ოქტომბერს #AR1258686 განცხადებით მომართა შპს „სასკოს“ წარმომადგენელმა დავით მარუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2012 წლის 26 იანვრის №01/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 იანვრის №01/168 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გურამიშვილის გამზირი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, ს/ს გაერთიანება „კვებარომატკომპლექის“–სა და #5 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის შენობას შორის, შპს „სასკოს“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საზოგადოებრივ–საცხოვრებელი შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებრთვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ბრძანებაში არასწორად აისახა შენობის საოფისე (კომერციული) და საერთო ფართის მაჩვენებლები.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სასკოს“ წარმომადგენელის დავით მარუაშვილის 2014 წლის 17 ოქტომბერის #AR1258686 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 იანვრის №01/168 ბრძანებაში, კერძოდ, საერთო ფართად დაფიქსირდეს – 20 237.02 კვ.მ, საოფისე (კომერციული) ფართად – 2440,32 კვ.მ;
3. 2012 წლის 26 იანვრის №01/168 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 იანვრის №01/168 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.